2023-2024 წლების განმავლობაში სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის

(ფიჭური სატელეფონო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის 2023 წლის)

კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის

სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი № CON220000397 – 4

ქ. თბილისი **„28" ნოემბერი, 2024 წელი**

სხდომას ესწრებოდნენ:

ლევან რაზმაძე - სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე, სატენდერო კომისიის თავმჯდომარე;

ილია ბეგიაშვილი - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე, სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

ერეკლე ღვინიანიძე - საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი;

ლერი ბარნაბიშვილი - საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი;

სერგო ჯანელიძე - საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი;

ვახტანგ ცინცაძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი;

გიორგი ბუთხუზი - საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი.

სხდომის მდივანი:

ქეთევან ქადაგიძე - სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ცენტრალიზებული შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი.

დღის წესრიგი:

„2023-2024 წლების განმავლობაში სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის საშუალებით განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 4 ნოემბრის N2016 განკარგულების 1-ლი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის საფუძველზე, კერძოდ, 2023 წლის განმავლობაში ფიჭური სატელეფონო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, 2022 წლის 02 დეკემბერს გამოცხადებული კონსოლიდირებული ტენდერის აუქციონის გარეშე (**CON220000397**) ფარგლებში ფიჭური სატელეფონო მომსახურების გაწევის ვადის გაგრძელება 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

განიხილეს:

სატენდერო კომისიის აპარატმა სატენდერო კომისიას მოახსენა შემდეგი ინფორმაცია:

2023-2024 წლების განმავლობაში სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის სატენდერო კომისიის 2022 წლის 19 დეკემბრის № CON220000397-2 სხდომის ოქმის საფუძველზე, 2023 წლის განმავლობაში ფიჭური სატელეფონო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ კონსოლიდირებულ ტენდერში აუქციონის გარეშე **(CON220000397)** გამარჯვებულ პრეტენდენტებად გამოვლინდნენ - **შპს „მაგთიკომი“** (ს/ნ 204876606) და **სს „სილქნეტი“** (ს/ნ 204566978).

ამასთან, ზემოაღნიშნულ კონსოლიდირებულ ტენდერში **(CON220000397)** ფიჭური სატელეფონო მომსახურების გაწევის ვადად განისაზღვრა 2024 წლის 31 იანვარი.

სატენდერო კომისიის აპარატმა სატენდერო კომისიის წევრებს ასევე მოახსენა, რომ „2023-2024 წლების განმავლობაში სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 4 ნოემბრის №2016 განკარგულების მე-4 პუნქტისა და სატენდერო კომისიის 2023 წლის 12 დეკემბრის № CON220000397-3 სხდომის ოქმის საფუძველზე, სატენდერო კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად, ფიჭური სატელეფონო მომსახურება გაგრძელდა 2023 წლის კონსოლიდირებული ტენდერის (**CON220000397**) ფარგლებში, ამავე ტენდერის პირობებისა და ტარიფების შესაბამისად, ახალი კონსოლიდირებული ტენდერის გამოცხადებამდე და გამარჯვებულ პრეტენდენტ(ებ)თან სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებების გაფორმების პროცედურების დასრულებამდე, მაგრამ **არაუგვიანეს 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

ფიჭური სატელეფონო მომსახურების უწყვეტი და შეუფერხებელი მიწოდების სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე, აგრეთვე საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის პრინციპის გათვალისწინებით, სატენდერო კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს, რომ „2023-2024 წლების განმავლობაში სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 4 ნოემბრის №2016 განკარგულების მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ფიჭური სატელეფონო მომსახურება ამჯერადაც გაგრძელდეს 2023 წლის კონსოლიდირებული ტენდერის (CON220000397) პირობებისა და ტარიფების შესაბამისად, ახალი კონსოლიდირებული ტენდერის გამოცხადებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოთქმულა.

სატენდერო კომისიამ დაადგინა:

1. „2023-2024 წლების განმავლობაში სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 4 ნოემბრის №2016 განკარგულების მე-4 პუნქტისა და 2023 წლის კონსოლიდირებული ტენდერის (**CON220000397**) სატენდერო დოკუმენტაციის 10.1.13. ქვეპუნქტის საფუძველზე, ასევე, **CON220000397 კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული მობილური ოპერატორების (პროვაიდერების) თანხმობის გათვალისწინებით,** ფიჭური სატელეფონო მომსახურება გაგრძელდეს 2023 წლის კონსოლიდირებული ტენდერის (**CON220000397**) ფარგლებში, ამავე ტენდერის პირობებისა და ტარიფების შესაბამისად, ახალი კონსოლიდირებული ტენდერის გამოცხადებამდე და გამარჯვებულ პრეტენდენტ(ებ)თან სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებების გაფორმებისა და შესაბამისი პორტირების პროცედურების დასრულებამდე, **მაგრამ არაუგვიანეს 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

2. დაევალოს სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წინამდებარე ოქმის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვა.

3. წინამდებარე ოქმის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, გადაწყვეტილების ვებ-გვერდზე გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, N6 (საფოსტო ინდექსი - 0131).

ოქმის რედაქცია შეთანხმებულია სატენდერო კომისიის წევრებთან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.